საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

**დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი**

National center for Disease Control & Public Health

KA030669548380020

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

**#06/867**

**18 / მარტი / 2020 წ.**

შპს ,,კლინტექი"-ს დირექტორის ვლადიმერ ჭელიძეს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, საქართველოში, შპს ,,კლინტექ"-ის მიერ წარმოებული სადეზინფექციო საშუალება ,,ზომა სტერილ" რეგისტრაციის შესახებ და წარმოდგენილი დოკუმენტაცია: 1.ინფორმაცია სადეზინფექციო საშუალებების გამოყენების სფეროს, წესებისა და პირობების შესახებ. 2. მწარმოებელი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წარმოშობისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტები. 3.დასკვნა საშუალებების მადეზინფიცირებელი ეფექტის შესახებ.

ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნული საცავის ლაბორატორიაში შემოწმებულ იქნა სადეზინფექციო საშუალება მადეზინფიცირებელი ეფექტი S. aureus ATCC 25923, P.aeruginosa ATCC 27853 , E.coli ATCC25922 და E. hirae ATCC 10541 შტამებით. სადეზინფექციო საშუალება მითითებული ექსპოზიციით უზრუნველყოფს მიკრობების გაუვნებლობა და შესაძლებელია სადეზინფექციო ხსნარის გამოყენება მეთოდური რეკომენდაციის შესაბამისად.

**გამოყენების მეთოდი**

,,ზომა სტერილ" წარმოადგენს ხელის ჰიგიენური დამუშავებისთვის განკუთვნილ დამახასიათებელი სუნის მქონე, გამოყენებისთვის მზა ,გამჭვირვალე უფერო სითხეს. საშუალება გამოიყენება ანტისეპტიკის მიზნით მწარმოებლის მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად, კერძოდ:

| რეკომენდაცია | ზემოქმედების დრო |
|---|---|
| ხელის ჰიგიენური დამუშავებისთვის | ხსნარის 5-10მლ-ის რაოდენობით დაიტანეთ ხელის მტევნებზე, გადაინაწილეთ ხელის გულებზე, თითებს შორის ზედაპირებზე 60 წამის განმავლობაში,სრულ გაშრობამდე. |
| ქირურგებისათვის ხელის ანტისეპტიკური დამუშავებისათვის | ხელის ჰიგიენური დამუშავებისთვის დაიტანეთ 3მლ 1 წუთის განმავლობაში |

საშუალება შესაძლოა ასევე გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ჰიგიენური დანიშნულების მქონე ზედაპირების დეზინფექციისთვის.

**უსაფრთხოების წესები**

,,ზომა სტერილ"-ის გამოყენება დაუშვებელია სადეზინფექციო საშუალების ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ; საშუალების გამოყენებისას აუცილებელია სამედიცინო პერსონალმა გაეცნოს ეტიკეტს, ინფორმაციას პროდუქტის შესახებ და დაიცვას უსაფრთხოების წესები.

**შეფუთვა და ეტიკეტირება, შენახვის ვადები**

,,ზომა სტერილ" -ის ხსნარი შეფუთულია ქარხნული წესით. შენახვის ვადა მითითებულია ეტიკეტზე. ინახება მშრალ, გრილ სათავსოში კვების პროდუქტებისაგან მოშორებით.

**შემომტანი**

შპს „კლინტექი" ქ.თბილისი რუსთავის გზატკეცილი 68ა.

ტელ:+995 595 222787

**მწარმოებელი**

საქართველოს შპს ,,კლინტექი"

**ჰიგიენური დასკვნა**

,,ზომა სტერილ" წარმოადგენს ახალი თაობის სადეზინფექციო საშუალებას, რომელიც განკუთვნილია კანის ანტისეპტიკური და ჰიგიენური დამუშავებისათვის, მწარმოებლის მეთოდური რეკომენდაციის შესაბამისად სამედიცინო -პროფილაქტიკური დანიშნულების დაწესებულებებში.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე — ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად — ირმა ხონელიძე